

# თავისუფალი



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის  
საგარეო  
საგარეო  
1919 წ.

საქართველოს რესპუბლიკის სახანო  
კვების მუშა-მოსამსახურეთა პროფე-  
სიონალურ კავშირის ცენტრალურ კამ-  
პეობის უფლებამოსილი პროფესიო-  
ნალური და პოლიტიკური ორგანო.

16/11-65

რედაქცია	თბილისი, ვლისბედის ქ., 200
რედაქციის მდიური	რედაქციის მდიური
რედაქციის ტელ.	2-98
გამომცემის ორგანიზაცია	გამომცემის ორგანიზაცია

№ 11

თბილისი, ორმახეთი, 17-ბარტი 1919 წელი.

№ 11

## დაფუძნებელი კრება

12 მარტს, დღის 12 საათზე გაიხსნა საქართველოს დამფუძნებელი კრება. კრება გახსნა უზუცესმა დამფუძნებელმა სილ. ჯიბლაძემ, რომელიც ითვლება სოციალ-დემოკრატიის პიონერად საქართველოში.

დიდი ხნის ოცნება, ნატურა შრომელი ხალხის აღსრულება დამფუძნებელი კრება დღეს ფაქტია ჩვენში.

12 მარტს მივიღო საქართველოს დღესასწაულობდა ამ დიდ დღესასწაულს.

12 მარტი ისტორიული დღეა ჩვენს ცხოვრებაში. ამ დღეს დაკანონდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, დაკანონდა ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა, გამოცხადებული იქნა ჩვენი ჭეყანა დაფუძნებულად და ჩაიწერა ის ევროპის კულტურულ სახელმწიფოთა რიცხვში.

ამ დღეს განსაკუთრებით ბედნიერად რაცხდა თავის თავს ჩვენი დემოკრატია, რომელიც ჩაუყარა მტკიცე საფუძველი დემოკრატიულ წესწყობილებას ჩვენში.

მუშათა კლასმა შესძლო ჩვენში რევოლუციის მონაპოვართა დაცვა, მისმა გონიერებამ, სწიფებამ და გამოცდილებამ გადაარჩინა ჩვენი მხარე განსაცდელს და დაღუპვას. 12 მარტს შეკრებილი დამფუძნებელი კრება კი გვირგვინია დიდი ხნის შრომისა და რამდენიმე წლების განმავლობაში რევოლუციონერ ბრძოლის.

დამფუძნებელი კრება, ეს ის ძვირფასი სასყიდელია, რომელიც ჩვენში დემოკრატიაში მიიღო დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ.

მაგრამ ამით საქმე არ დასრულებულა. ჯერ კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი. დამფუძნებელ კრებას უნდა მხარის დაქერა, გამაგრება, დახმარება. დამფუძნებელი კრება, ეს ის ცენტრია, რომლის ირგვლივ მკიდ-

როთ უნდა იყოს შემკრებილი ჩვენი დემოკრატია, და ამით მისცეს შეძლება მას ცხოვრებაში გაატაროს ყველა ის კანონები, რაც საჭიროა ხალხისთვის.

დამფუძნებელ კრებას, რომლის დიდ ღირებულებას მშრომელი კლასის წარმომადგენლები შეადგენენ, რასაკითხველია ბევრი მუშაობა. თუ დამფუძნებელ კრებას არ დაუვიწყარ ხარის დემოკრატია, ის დაჩაჩანაკდება. დაიკრავს გზუღონას და აი მაშინ დადგება ის დრო, როცა მშრომელი კლასის მტრები შეუდგებიან თავის დღესასწაულს.

ისტორიამ იცის ასეთი ფაქტები. 1879 წლის რევოლუციამ საფრანგეთს მისცა დამფუძნებელი კრება, მაგრამ მას ვერ გაუმავრა ზურგი პარლემენტარობა და ამიტომ ის დამარცხდა, რის შემდეგ ბურჟუაზიამ წაართო მუშათა კლასს მოპოვებული უფლებანი და თვითონ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება.

დამფუძნებელი კრება ჩვენში მშრომელი კლასის ბრძოლათა მოპოვებული. ის ნაყოფია აუარებელი მსხვერპლის რევოლუციის სამსხვერპლობზე და ამ სისხლით მოპოვებულ უზენაეს ორგანოს უნდა გაუმავროს ზურგი იმავე მშრომელმა მასსამ, რომ დამფუძნებელმა კრებამ განახორციელოს მშრომელი კლასის იდეალები.

## დაფუძნებელი კრების განხილვა

დიდებული დღეა 12 მარტი. ეს დღე ჩვენთვის, საქართველოს დემოკრატიისთვის დაუვიწყარია.

ამ დღეს დაიწყო დიდ რუსეთის რევოლუცია...

ამ დღეს გაიხსნა საქართველოს დამფუძნებელი კრება...

ამ დღეს სამდიდრე დემოკრატიული წესით არჩეულმა, ხალხის წარმომადგენლებმა

დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

ამ დღეს მიღწეულ იქნა მიზანი საზღვრული სურვილისა და მისწრაფებისა.

შუადღს 12 საათზე შეიკრებოდა ამხანაგ-მა სალაბისტრო ჯიბლაძემ გახსნა ეს პირველი დამფუძნებელი კრება.

ჩემმა წინამძღვრებმა—სე დაიწყო ამხ. ჯიბლაძემ და ჯიბლაძემ მიიღო ხელი—გამხანაგ შე დინსა ამ დიდებულ უნაღობის გახსნისა. უწყოლია ჩემი სიხარული, ჩემი აღფრთოვანება.

სადაც მძიმეობა ბრძოლათა შედეგად იქ დამსწრე უნდა სახელმწიფოთა წარმომადგენლები.

სადაც დიდ ბრძოლათა—ამ დემოკრატიის და თავისუფლების სამშობლოს.

სადაც საფრანგეთის—ამ რევოლუციის სამშობლოს.

სადაც დიდ ამერიკის რესპუბლიკებს—სადაც ბატონა შეიქცა, ამ ბუდეს სამშობლოს ეველა დღედაღამ და დღე-ნიდას.

სადაც რუსეთის ეველა ერებს. შეკარბული სადაც მიუზობელ ადვრები-ჯანს და სომხეთს.

სადაც შთიქვით რესპუბლიკას.

სადაც პოლონეთის წარმომადგენელთ.

სადაც ჩვენს მთავრებს.

სადაც ჩვენს წინამძღვრებს ნოე ჟორდანას...

ეველა ამ მისამდეებს თან მისდევენ მქიხარე ტაშის ტემა და ოცნებები დემოკრატების და დამსწრე საზოგადოების თეხზე წამოღობით...

„ღირსეულად ჩატარა ჩვენმა მთავრობამ ეს არა ჩვეულებრივი მოვალეობა, რომელიც მას დააკისრა არა ჩვეულებრივმა მოვლენამ...“

ბნო, დამფუძნებელი კრების წევრთა კეთილი იქონს თქვენი აქ მობრძანება, აქ ამ სხლში, რომელსაც წინათ ხალხის მტრები ბატონობდნენ.

თქვენ უნდა აკოთ, ააშენოთ ახალი სახელმწიფო.

დღეს ჩვენ განვიცდით სერიოზულ მო-

შენს. ჩვენ ვცხადობთ განსაკუთრებულ პირობებში.

ჩვენი მუშაობა—მოძრაობა სადაც მიგვაქნებს.

ინგრევიან სახელმწიფოები... ამისგანგვიან ტანტევი მირანტეხუელთა... რა დაგვარგეთ და რა შევიძინეთ ჩვენ ამ საერთო კრალში?

დავარგეთ წველა და ვრუდვით მისაგანარი თვითმშობრებელთა, რომელმაც მშობრები სადაც დადგვიან კანამდი მიიქვანა.

ბედნიერად ახალი თაობა, რომელსაც არ უტრბინა ეს ძველი რანგა-ქალკა დასტრა ძველი წესწყობილებას მარტო დახვრევა რადი კმარა.

საჭიროა ამ ძველ ჩანგრევებზე ახლის ატება.

აი დამფუძნებელი კრების სამუშაო... დამფუძნებელმა კრებამ—ამ გვირგვანამ რევოლუციისამ უნდა დაამტკიცოს, გაამავრის მონაზოვარი თავისუფლებანი.

ოქტომბრის გადატრალეობამ უწესრულში გადასრლდა რუსეთის დემოკრატია და მისი დამფუძნებელი კრება.

ჩვენმა დემოკრატებმა გადაარჩინა ეს ჩვენი ბატონა ხავი—ეს ჩვენი ბატონა მხარე დამხობა-განადგურებას და მოიფანა აი აქ სამშეიღობში—ამ დამფუძნებელ კრებამდე...

მამ გაწვიოთ კიდევ ამ სწორი, სამართლიანი გზით.

მონაზოვარს შენარჩუნება უნდა.

სახელი და დიდება ჩვენს მოღვაწეებს, რომლებმაც ამ არეუ-დარეკვაში სისწორით ატარეს სახელმწიფოს საქმე.

სახელი და დიდება ჩვენს სახალხო გვარდასს და ჯანს—ჩვენი სამდიდრე შეიღებს.

ჩვენი ხალხი, ჩვენი დემოკრატია არ დაიღუპება და არც დაღუპვას ასე ტანჯვით მონაზოვარ თავისუფლებას...

ამ სიტუციებით მიმართა კრებას საღ. ჯიბლაძემ.

აქ კრებამ აიჩინა თავმჯდომარედ ამხანაგი კარლო ჩხეიძე, რომელიც დღეს საზღვარ კარედ იმეოთება, ხოლო მის მთავრეულთ ამხ. ადექსანდრე დომთათიძე.

ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ მადლო-



ბა გადაუსადა კრებას ამ დიადი ჰატვისტე-  
მისა და ნდაბისთვის და მოკლე, მარა ში-  
ნაასანა სიტუაციის შემდეგ წაიკითხა საქარ-  
თუელის დამოუკიდებლობის აქტი, რამეღ-  
ზეც დამოუკიდებელი კრების წევრებმა ხელი  
მასწავრეს.

შემდეგ გადადებულ იქნა მთელი კრების  
სურათი. შემდეგი კრება დაინიშნა ორი  
დღის შემდეგ და ასე დამთავრდა ამ დიდუ-  
ბული დღის კრება ჰარდაშენტიში.

ორიღე სიტუაცია ახლა ქუჩაზე—თვით  
ხალსზე.

აქ სურათი კიდევ უკეთესა, საუურადდე-  
ბა. მრავალმნიშვნელოვანია.

დიდიდახუე იწვეს სხვა და სხვა ორგანი-  
ზაციებმა დროშებით, სიმღერით, მუსიკით  
—სასხადისკენ დენა.

დიდებული სასხადისა.

დიდი, ჰატარა ფეხზე დგას.

თვით ინგლისელი ჯარის კაცებიც გან-  
ცვიფრებულ თვალს გვადგენებენ.

ამოღენა ხალსი—ამოღენა დროშები.  
სიმღერა, მუსიკა... რევოლუციის შემდეგ  
ადარ უხახუს თბილისის ქუჩებს.

ეს სასხადისა ამ ინგლისელ და ინდე-  
ლებსაც კი გამოადიქებსა — ოსუნჯობის  
ერთი ამსახავი.

თბილისი ჰარისიხ რადს ხამაშობს  
დღეს—ესენი რამ სამშობლოში დაბრუნ-  
დებიან იქ „დეკაბრისტების“ მსგავს რამეს  
შეასდენენა—უმატებს შორე ამსახავი.

სასხადის წინ ქუჩაზე მიღიციანებები  
მწობრათ არიან დამწკრივებულნი. ისინი  
მუშათა ორგანიზაციებს ხალსში აძლევენ.  
დიდებული სასხადისა. ახ სად არის დამ-  
ფუქსიკელი კრების ძალა—სიდაადე. მას  
მუშა ხალსი გვერდში უდგავ, ასეთი დამ-  
ფუქსიკელი კრება ბურჟუა რევოლუციისა  
მას ვერაფერი დასძლევენ... ვერაფერ მთე-  
რევა...

აურებელი თვადები სასხადის კარებს  
შეჭეულებს.

დროშებს ძლიერი ქარი ძალზე აფრთა-  
ლებს...

კრება რევოლუცი გავრცელდა... ამსახ-  
ვები გარედ—ქუჩაში დაიდადენ.

აი სამის ნახევარზე სასხადის კარებიდან  
დამოუკიდებელი კრების წევრნი გამო-  
დიან.

ხალსის შეიღნი ხალსს უერთდებიან.

საერთო დღესასწაულია.

ზირველად აქ დანარკობს ნოე რამიშვილი,  
მერე სიდ. ჯობაძე, ად. დომთათიძე.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ კრებას.

გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას,  
გაუმარჯოს სოციალიზმს—გრგვიზავს ხალ-  
სი.

ს. დოლიძე.

### „მესამე ინტერნაციონალი“

მოსკოვში გაიხსნა მთელი ქვეყნის  
კომუნისტურ პარტიათა წარმომადგენ-  
ლების ყრილობა, რომელმაც უნდა  
საძირკველი ჩაუყაროს „მესამე ინტერ-  
ნაციონალს“.

აქ შეიკრიბენ წარმომადგენლები,

როგორც ვერობის სახელმწიფოსაგან,  
ინე აზიისგან.

რუსეთის ბოლშევიკები ამ ყრილობ-  
ბას დიდ მნიშვნელობას აძლევენ და  
იღარებენ 1864 წლის ლონდონის  
კონფერენციას, სადაც ჩაყარა საძირ-  
კველი პირველ ინტერნაციონალს.

კომუნისტები ფიქრობენ, რომ მო-  
სკოვის ყრილობა ჩაუყარს საძირკველს  
ახალ ინტერნაციონალს.

ლენინი საჯაროთ და სიხარულით  
აცხადებს, რომ „მესამე ინტერნაციო-  
ნალის მოღვაწენი ჩქარა იხილავენ  
მთელი მსოფლიოს საბჭოთა რესპუბ-  
ლიკას.“ ლენინი ფიქრობს, რომ 24  
საათში განახორციელებს პროგრამა—  
მაქსიმუმს.

ნამდვილათ კი მოსკოვის ყრილობა  
უმზადებს მსოფლიოს ახალ ცენტლს,  
ახალ უბედურებებს.

ჩვენს თვალწინაა რუსეთი.

რას გვეუბნება რუსეთის მაგალითი?

დიდი რევოლუციის იდელები კი  
ხანია დასამარეს ავანტიურისტებმა და  
ხალსს მოანატრეს ნიკოლოზის მათ-  
რანი.

დამფუძნებელი კრება, ხალსის სუ-  
ვერენული ნება, რაიც ათეული და  
ასეული წლების განმავლობაში ითვ-  
ლებოდა ოცნებათ, უკვე ჩაკლეს ხალ-  
სის გულში უბასუხისმგებლო პოლი-  
ტიკოსებმა.

რუსეთი გვერანდა, დაიგრა, დაი-  
ღუბა სამოქალაქო ომის ცენტლში და  
დღეს ის წარმოადგენს ჯოჯოხეთს,  
ათასგვარი ფრონტებით აქრელებულს.  
ბულს. ეს ქმნეს რუსეთში ბოლშევი-  
კებმა.

რას ვხედავთ გერმანიაში?

აქაც იგივე რუსეთი, იგივე გულის  
მომკვლელი მოვლენანი.

სისხლის წვიმა, სამოქალაქო ომის  
ფრონტები, წარმოების დაცემა, რკი-  
ნის გზების შეჩერება, გადამუდული  
ქალაქები, ხოცვა-ჟლეტა...

ეს ქმნეს სპარტაკელებმა, ბოლშე-  
ვიკების ძმებმა.

დღეს ეს „გმირები“, რომელთა  
ერთმა ნაწილმა უკვე დასამარა რუ-  
სეთში რევოლუცი, ხოლო მეორე  
გაორკეცული ენერგიით უთხრის სა-  
მარტს რევოლუციას გერმანიაში,—  
დღეს ეს სახელოვანი გმირები იკრი-  
ბებიან მოსკოვში და ქვეყნას გაბედ-  
ნიერებას პირდებიან საბჭოთა რესპუბ-  
ლიკით და უმცირესობის დიქტატუ-  
რით.

მარქსის შემოცხვენელი, მარქსის  
გზის ფაქტიურად უარის მყოფენი,  
სოციალიზმის მოღალატენი საბჭოთა  
რუსეთის დედა ქალაქში მოსკოვში  
თითქო აღდგენას უბირებენ იმ ინ-  
ტერნაციონალს, რომელსაც თავს ევ-  
ლებოდა ამ ორმოცდა ათი წლის წი-  
ნათ მარქსი.

ნამდვილად კი ეს ახალათ მოვლე-  
ნილი ბაკუნისტები საფლავს უთხრიან

ინტერნაციონალის საქმეს, მათ შეაქვთ  
ინტერნაციონალში ისეთი განხეთქი-  
ლება, როგორიც ერთხელ შეიტანა  
მასში ბაკუნინმა.

მათი ბუნტარული პოლიტიკა, მათი  
დიქტატურა უმცირესობის,—ეს ლალა-  
ტია ინტერნაციონალის, ლალატია  
მარქსის ფილოსოფიის.

მათი ყრილობა ვერ აღადგენს ინ-  
ტერნაციონალს, ვერ შეაერთებს სო-  
ერთაშორისო მუშათა კლასს. პირ-  
იკით, მშრომელ მასსაში ის შეიტანს  
და გააღრმავებს იმ განხეთქილებას,  
რომელიც ეს ორი წელიწადია ასამა-  
რებს რუსეთის რევოლუციის და რო-  
მელიც ჯოჯოხეთი მოუზადა რუსეთს.  
სა და გერმანიაში დემოკრატიას.

შეგნებული დემოკრატია ყოველ-  
თვის მილიოდა სოციალიზმისკენ დე-  
მოკრატიზმის გზით.

ჯერ დემოკრატიული წესწყობილე-  
ბის აღდგენა და გამაგრება, ხოლო  
შემდეგ სოციალიზმი,—ასე მსჯელობს  
შეგნებული მარქსისტი.

კომუნისტებმა კი დაიფიწყეს მარქსის  
მოძღვრება, თუმცაღა ყოველ ფეხის  
გადადგმაზე მარქსის სახელით ფიცუ-  
ლობენ, და უნდათ პირდაპირ გადახ-  
ტენ სოციალიზმის სამეფოში.

ისინი არ აქცევენ ყურადღებას, არის  
თუ არა ამისთვის მომზადებული პირო-  
ბები, არის თუ არა ის ნიადაგი, რო-  
მელიც მშვენივრათ აქვთ მარქსსა და  
ენგელსს დასაბუთებული მეცნიერულ  
სოციალიზმის მოძღვრებაში.

და აი ამ უტოპიამ დააქცია რუსეთი.  
ეს უტოპია დაღუბავს მთელ ქვეყანას,  
თუ „მესამე ინტერნაციონალის“ მო-  
ღვაწეებს ექნათ გავლენა სხვა ქვეყ-  
ნებშიაც.

და ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოსკოვის  
კონფერენციის ლოზუნგები არ ჩაიფ-  
ლიან უმნიშვნელოდ იმ ქვეყნებისთვის,  
სადაც ეხლა სისხლის წვიმაა.

გერმანია და ავსტრია, სადაც სამო-  
ქალაქო ომის ფრონტზე იღვრება დღეს  
სისხლი სპარტაკელების წყალობით,  
არ დარჩებიან უგავლენოდ, მოსკოვის  
ლოზუნგები აქ იპოვიან პოზიერ ნია-  
დაგს და გაამძლავრებენ აგრესიულ  
ცენტლს.

იაფ ფასიანი ლოზუნგები აუცილებ-  
ლად იპოვიან მშვენიერ ნიადაგს ამ  
აბობოქრებულ ქვეყნებში. და თუ ის  
მოედო მთელ ქვეყანაზე ცენტლის  
აღივით, ცხადია დააქვითებს მუშათა  
კლასს, შეაჩერებს მის წინსვლას, მის  
კლასიურ ბრძოლას.

ამ ლოზუნგებს შეაქვთ განხეთქილე-  
ბა მუშათა კლასში, ის უმზადებს ნია-  
დაგს რეაქციას და უგრძელებს მუშა-  
თა კლასს სოციალიზმისაკენ მიშავალ  
გზას.

ეს ლოზუნგები კლავენ ძირშივე  
სად, დემოკრატიულ სახელმწიფოს მა-  
ცოცხლებულ ძალებს და აბატონებენ  
ერთი მუქა ავანტიურისტებს.

აი ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ მოსკო-  
ვის ლოზუნგები ინტერნაციონალის  
აღდგენა კი არაა, ანტიინტერნაციონალის,  
ინტერნაციონალის, მახვილის ჩაცემა  
გულში.

და ის მახვილი, რომელსაც მოსკოვ-  
ში შეკრებილი კომუნისტები სცემენ  
გულში საერთაშორისო ინტერნაციო-  
ნალს, გაცალეებით უფრო ბასრია, ვი-  
დრე ბაკუნინის მახვილი, ჩაცემული  
ახლად აყვავებულ ინტერნაციონალის  
გულში ოთხმოციან წლებში. ან  
1914 წელს იმპერატორ ვილჰელმის  
მახვილი, რომლის შეჩერება ვერ შეეს-  
ლო ამ წელს ინტერნაციონალმა.

მაგრამ ამ ბასრ მახვილებს ასე თუ  
ისე გადურჩა ინტერნაციონალი. მისი  
საქმე, მართალია, ხშირად ფერხდე-  
ბოდა, მაგრამ ის არ მომკვდარა, ის  
ყოველთვის სდგებოდა ფეხზე და სა-  
მკვდრო ბრძოლას უცხადებდა მტრებს.

დღესაც ვერ დაამარცხებს საერთა-  
შორისო ინტერნაციონალს კომუნის-  
ტების ავანტიურა. და მსოფლიო პრო-  
ლეტარიატი, ჩვენ დარწმუნებული  
ვართ, დღესაც გამარჯვებული გამო-  
ვა ამ საშინელ და უგუნურთავან გა-  
მოცხადებულ ბრძოლისგან.

### კონფერენცია რუნიის გზის პარტიების წარმომადგენ- ლებისა

2 მარტის სხდომა

კულტურულ-განმანათლებელი მუ-  
შაობა. ამხ. ბაკურიას მოხსენების შემ-  
დეგ იმართება კამათი, რომელშიაც  
მონაწილეობას ღებულობენ კომალცი-  
შვილი, სიხარულიძე. გიორგაძე, უგ-  
ლავა, არველაძე და სხვები. ზოგიერ-  
თი ამხანაგები საყვედურს გამოსთქვა-  
მენ ცენტრალურ-კულტურულ კომი-  
სიის სახელზე. ამხ. უგლავა ფიქრობს  
არ კმარა მარტო საყვედურები. საჭი-  
როა ცენტრს რაიონებიც ეხმარებო-  
დენ, რადგანაც უამისოთ ცენტრს არა-  
ფრის გაკეთება არ შეუძლია. ამხ.  
სიხარულიძეს უკვირს, როგორ არის,  
მაშინ, როდესაც ცენტრალური კულ-  
ტურული კომისია სცემს 6 ათას ცალ  
გაზეთს, პროცენტების გამოქვითით  
კი ღებულობს 14 ათას მანეთს და  
მაინც ზარალს ნახულობსო. ამხ. არ-  
ველაძე აღნიშნავს იმ მიზეზებს, რო-  
მელიც ხელს უშლიდა კულტურულ  
განმანათლებელ კომისიის მუშაობას.

ამხ. ცენტრაძე. კულტურული მუ-  
შაობა ჩვენს ერთ უმთავრეს საგანს  
წარმოადგენს, კულტურულათ მუშა-  
მოსამსახურეების აღზრდა-კავშირის მი-  
ზანია. ეს ყველასათვის უდავოა. ხაზი-  
დან ჩამოსულ ამხანაგებს არ აკმაყო-  
ფილებს კულტურულ ნიადაგზე ჩვენი  
მუშაობა, მარა ჩვენ კი კმაყოფილი  
ვართ ამ მუშაობით? როგორც ცენტ-



რალური გამგეობის და კულტურულ განმანათლებელი კომისიის წევრი მეთერთონ არ მაქაყოფილებს ჩვენი მუშაობა. მართალია ლიანდაგზე უნდა წამოვსულიყავით, აზრთა გაცვლა-გამოცვლა უნდა მოგვედინა, საერთო ძალებით, საერთო მუშაობით ეს საქმე უნდა მოგვევარება. ამის საქმროებას, ამხანაგებო, ჩვენც დიდი ხანია ვგრძნობდით და ვგრძნობთ დღესაც — ამის შესახებ დადგენილებებიც კი გვაქვს, ამხანაგებიც კი გვყავდა დასახლებული ლიანდაგზე წასასვლელად და იქ მუშაობის საწარმოებლათ, მარა სამწუხაროთ ჩვენდა ზნობრივად მათხეების გამო ეს ვერ შეგვეძლია. თქვენ იცნობთ ჩვენ შემადგენლობას, და იმ პირობებს, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა ცენტრალურ გამგეობას. კულტურულ განმანათლებელი კომისიის წევრები ათასწორ საქმეებით არიან დატვირთულნი. ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებულ რწმუნებულედათაც კი იყენენ დანიშნული სომხებთან ამის დროს, და ეს მოვალეობა დღესაც დაკარგებული აქვთ იმ ამხანაგებს. იმ საქმის მიტოვება მაშინ არ შეიძლებოდა. ამაში მე მგონია, თქვენც დამეთანხმებით. ამხ. სიხარულიძეს აქ პატარა ართმეტრიული შეწყობა მოუვიდა. მომხსენებელმა სიტყვა შედგ ჩვენ წ ათას ცალ გაზეთს ვცეთო, მან აიღო ეს ციფრი და ამაზე ააშენა თავისი ანგარიში.

მ ათასი გაზეთი იცნება არა თვიურად, არამედ კვირეულად, ასე რომ ცვიურად გარდის არა წ ათასი არა — მდ 24 ათასი ცალი გაზეთი. ნახევარი პროცენტის გამოქვეითით შემოდის 14 ათასი მანეთი, მარტო გაზეთზე კი იხარჯება 16 ათასი მანეთი. ასე რომ თვიურად ვხარალობდით 2,880 მანეთს. გარდა ამისა ჩვენ ვსცემთ ზოგიერთებს, ამასაც ხომ ტულები სჭირდება. კულტურულ განმანათლებელმა კომისიამ გაითვალისწინა ეს ნივთიერი მდგომარეობა და დახმარებისათვის მიმართა სამასწავლებლო კომიტეტს და ცენტრალურ გამგეობას. ეს დახმარება ჩვენ დღეს უკვე გვაქვს და აქ მე მგონია საქმე უკეთესათ წავა. რეფერატების და ლექციების მოწყობა აუცილებელია. მ ნიადაგზე კულტურული კომისია უკვე მუშაობს და ახლო მომავალში ვეცდებით მოვაწყოთ როგორც ცენტრში, ისე ლიანდაგზე — ლექცია-რეფერატების წაკითხვის საქმე. აქ ორი უკიდურესობაა. ერთნი ბრალს სდებენ რაიონულ გამგეობებს უმოქმედობაში, მეორენი კი ცენტრალურ გამგეობას. მე არც ერთს და არც მეორეს არ ვეთანხმები. თქვენ აქ მოსული ხართ არა იმიტომ, რომ ვინმე საბრალდებულს კამზე დასვათ, არამედ იმიტომ რომ ჩვენთან ერთად გამოჩნაოთ ის გზა და საშუალებები, რომლითაც შესაძლებელი გახდება როგორც კულტურული მუშაობის, ისე სხვა საკითხების მოგვარება და მისი შესაფერისად გადაწყვეტა. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი თქვენთან შეთანხმებით მუშაობა შესძლებს ყოველ გარე ხელის შემშლელ დაბრკოლებების გადალახვას. ეს კი ერთად ერთი გარანტია იქნება ჩვენი ნაყოფიერი მუშაობისა.

გორც კულტურული მუშაობის, ისე სხვა საკითხების მოგვარება და მისი შესაფერისად გადაწყვეტა. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი თქვენთან შეთანხმებით მუშაობა შესძლებს ყოველ გარე ხელის შემშლელ დაბრკოლებების გადალახვას. ეს კი ერთად ერთი გარანტია იქნება ჩვენი ნაყოფიერი მუშაობისა.

ამხ. **ბოკერია** კითხულობს კულტურულ-განმანათლებელი კომისიის სამუშაო დებულებებს. მუხლობრივ განხილვაში მონაწილეობას დებულებებს: **ძიძიგური, კოპალეიშვილი, შენგელია, კუპრაშვილი** და სხვ.

უმთავრეს კამათს იწვევს ის, თუ ვის ხელში უნდა დარჩეს კლუბების საქმე.

ამხ. **ძიძიგური** მოითხოვს ამ მუხლობრივ უმთავრეს კამათს იქმნას შეტანილი, ის ამას ასაბუთებს სამტრედიის ცხოვრებიდან.

ამხ. **კოპალეიშვილი** და **კუპრაშვილი** წინააღმდეგნი არიან შესწორებისა, ტენი აღნიშნავენ ამხ. **ძიძიგურის** საპასუხობთ. არ არის მართალი, თითქოს სამტრედიის კლუბი მარტო დებოს მუშებისაგან იყოს გაკეთებულიო. ამხ. **ძიძიგურის** შესწორება არ იქნა მიღებული.

დიდი კამათის შემდეგ შესწორებებით მიღებულ იქნა მომხსენებელისაგან წარმოდგენილი დებულებები.

**სამპარნი კასა.**

მოსხენებას ამის შემდარედ აკეთებს ამხ. **მ. არველაძე**.

მუშათა მოძრაობას ბევრი ფორმა აქვს ორგანიზაციის: პარტიული ორგანიზაცია, პროფესიონალური კავშირები, საავადმყოფო კასები, სამარხი კასები, კოპერატიული ორგანიზაცია და სხვა. განსაკუთრებით დღეს ჩვენში, სადაც კაპიტალისტური განვითარება ჯერ არ არის იმ საფეხურამდის მისული და მასთან სახელმწიფოს მდგომარეობა ფინანსების მხრივ დიდ უნუგეშო პირობებშია, როგორც პირველს, ისე მეორეს არ შეუძლია დაქირავებული მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა განსაღვლის დროს მინიმუმამდის უზრუნველ ჰყოს.

ასეთ პირობებში საქირთა, განსაკუთრებით ჩვენთვის — რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთათვის, თვით ჩვენ შეუდგეთ ისეთ ორგანიზაციის ფორმის შექმნას, რომელიც სიკვდილის, ან რაიმე უბედური შემთხვევის დროს მუშა-მოსამსახურებს შესაფერ დახმარებას გაუწევს.

მართალია, ჩვენ გვაქვს პროფესიონალური კავშირი, მაგრამ დღევანდელ გართულებულ პირობებში მას არ შეუძლია სიკვდილის დროს მუშა-მოსამსახურებს დაეხმაროს, იმიტომ რომ ეს არც არის მისი პირდაპირი დანიშნულება: კავშირი ბრძო-

ლის ორგანიზაცია; ის ხელმძღვანელობას უწევს მუშა-მოსამსახურეთა პოლიტიკური უფლებების დაცვის საქმეს, ცდილობს გააუმჯობესოს მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური მდგომარეობა და ამავე დროს, რომ მან იღვას თავის თავზე ყველა იმ მთხოვნელთა დაკმაყოფილება, რომლებიც მოითხოვენ დახმარებას ფულით, მაშინ კავშირის შემოსავალი მთხოვნელთა ოცი პროცენტსაც ვერ დააკმაყოფილებს, კასაც ცარიელი დარჩება და მისი პირდაპირი მოვალეობაც ვერ იქნება შესრულებული.

მაშ რით შეიძლება ამ მდგომარეობის თავი დავახწიოთ? როგორ შეგვიძლია დახოცილ თანა მოსამსახურებთა ოჯახს დახმარება აღმოუჩინოთ?

ამ დროს ისევ უნდა მივმართოთ ერთ-ერთ ორგანიზაციის ფორმას: ასეთი ორგანიზაციის ფორმა არის შემდეგი: საქართველოს სახანო რკინის გზის მუშა-მოსამსახურებმა უნდა დაარსონ სამარხი კასა, რომელიც სიკვდილის დროს მუშა მოსამსახურებს დახმარებას გაუწევს.

უნდა შეიქმნეს ერთ პროცენტისად გადასახადი, რომელიც იქნება რკინის გზის კავშირის უმთავრეს გამგეობის განკარგულებაში. და როდესაც რომელიმე მუშა-მოსამსახურე გადაიცვლება ცენტრის დადგენილების თანხმობით მიეცება დასამარხათ ამა თუ იმ მუშა-მოსამსახურეს.

**კუპრაშვილი** წინააღმდეგია ჯამაგირებიდან პროცენტების გადაღების, და წინადადებას იძლევა, რომ თვით მოსამსახურებმა შექმნან კასები რაიონებში ერთ დროული ფულის შემოტანით.

**უგლავა** მომხრეა სამარხი კასები მოეწყოს, მხოლოდ წინააღმდეგია 10/0 ჯამაგირებიდან დაქერილ იქნას.

**იმნაიშვილი** წინააღმდეგია მოსამსახურებებს ჯამაგირებიდან პროცენტების სახით რაიმე გამოექვეითოს, ვინაიდან მათ ისედაც ბევრს უქვითავენო. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: პრინციპიალურად საქირთა აღნიშნულ იქნა და გამოითქვა სურვილი მუშა-მოსამსახურეთათვის სამარხი კასის დაარსება გამოუმუშავებული კასის მთავარი დებულებები გადატანილი იქნება რაიონებში საერთო კრებაზე და თუ მოსამსახურეები დადასტურებენ მას, იმ შემთხვევაში კასა იქნება დაარსებული. შემუშავებულ იქნა შემდეგი დებულებები: დახმარება აღმოეჩინება მოსამსახურის ოჯახს, მხოლოდ მოსამსახურის ოჯახის უფროსის სიკვდილის დროს. თითველ მოსამსახურეს, სამარხი კასის წევრს, გამოეიცება ჯამაგირიდან ყოველ თვიურათ თითო მანეთი. ცენტრში შეგროვილი ფული გაუნაწილებს რაიონებს, რომლებიც აღმოუჩინენ დახმარებას სიკვდილის

დროს რაიონში შესწავლილი რეგების ოჯახებს, **გენერალის** ცენტრს.

თავმჯდომარის წინადადებით ამორჩეულ იქნა ორი კომისია — საექიმოსასანიტარო და ბინების. ბინების კომისიაში არჩეულ იქნა: უგლავა, ნებიერიძე და გორგაძე. საექიმოსასანიტარო კომისიაში: ნინუა, პიბინაშვილი, ცხადაია და სიხარულიძე.

**3 მარტის სხდომა.**

მოსხენება სასურსათო კომიტეტის მოქმედებაზე.

**ბერიუიანი** რკინის გზის არც ერთ დარგში ისე არ არის არეულ-დარეული საქმე, არც ერთი დარგი იმდენ უკმაყოფილებას არ იწვევს მასში, როგორც სასურსათო საქმე. თუ ეს უკმაყოფილება დიდია თფილისში, მით უფრო დ დი იქნება იგი ხაზზედ. სადაც თითქმის ყველა მოსამსახურე მიკლებული არიან სურსათს: ამ უკმაყოფილების გამო ცენტრალური გამგეობა იძულებული შეიქნა მოეწვია ცენ. გამგეობის, სასურსათო კომიტეტის და მთავარი სარევიზიო კომისიის წევრთა შეერთებული კრება, სადაც უნდა გამოკვლეულიყო ურთიერთ შორის დამოკიდებულება, გვეჩვენა ჩვენ ისეთივე კანტროლის უფლება, როგორც სხვა დარგებში თუ პრა. საქმე იმაშია, რომ საქართველოს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პირველ ყრილობის მიერ მიღებულ წესდებაში არ არის მოხსენებული, რომ ჩვენი კანტროლი ვრცელდება სასურსათო კომიტეტზედ და ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენ მოგვესპო საშვალეობა კანტროლის უფლებისა. არა ერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩვენ მიგვითითებია სასურსათო კომიტეტის ამა თუ იმ სუსტ მხარეზედ, სათავეში მდგომანი თუმცა არა კატეგორიულად, მარა მაინც გაკვირვებულნი ვიყავით, თქვენ რა საქმე გავქვთ, ჩვენ ყრილობამ აგექურვა ერთგვარი ავტონომიური უფლებით, გვყავს სარევიზიო კომისია, ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჩვენ ამორჩეულებთან და არა თქვენთანო. ამ არა ნორმალური მდგომარეობის გამო, რომელიც შექმნა ყრილობამ, ამ შეერთებულ კრებაზედ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა დადგენილება, რომ ჩვენი კანტროლი სასურსათო კომიტეტზედ უდავოა, და კანტროლი ჩვენი ხორციელდება მით, რომ ჩვენი ერთი წევრი მუდამ ესწრება სასურსათო კომიტეტის ყველა სხდომას და ამანორად ჩვენსა და მათ შორის გაიბა ერთი შემაერთებელი ძაფი. სხვათა შორის ამ შეერთებულ კრებაზედ გამოქვეყნებულ იქნა მრავალი აქტები სარევიზიო კომისიისა, საიდანაც ირკვეოდა, რომ სასურსათო საქმეში დიდი არე-დარევა იყო. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედების ასა-



რეზი თითქმის ერთი მესამედად შემცირდა, თუ წინად ჰქონდათ რაიმე გასამართლებელი საბუთი, რომ საქმეების სიბევრის გამო ისინი ვერ უძღვებოდნენ ყველგან სათანადოდ, იმის შემდეგ, რაც ჩვენი გზა გამოიხატება რაღაც 600 ვერსში, მოსალოდნელი იყო, რომ ახალი სიო დაჰბერავდა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ ამას ვერა ვხედავთ. იგივე უსისტემობა, იგივე დაუდევრობა. და ყველა ის ბოროტ-მოქმედება, რაც აქნობამდის ხდებოდა ან ეხლა ხდება იმის მიზეზი არის, რომ ერთგვარი პასუხისმგებლობა არ არსებობს სასურსათო კომიტეტის აგენტებს შორის. ჩვენ ვხედავთ, რომ შრომის დანაწილება არ არის სწორი, ერთ და იგივე დროს ერთი და იგივე აგენტი არის რევიზორ-ინსტრუქტორიც, აგრონომიც, მეწისქვილვეც და ფულის მომკრეფიც, ან კიდევ რევიზორ-ინსტრუქტორი არის გაზაფხის გამგეთ და აი სწორედ ეს არის მიზეზი, რომ როცა ერთ კაცს მრავალ მოვალეობას აკისრებთ ის ვერც ერთს ვერ უძღვება, ბევრჯელ ცენტრი ახდენს ერთგანკარგულეობას, მისი აგენტები ამ განკარგულეობას არ ემორჩილებიან. მაგ. სასურსათო კომიტეტი ახდენს განკარგულეობას, რომ ფურნეში ფულები ერთ დღეზედ მეტი არ ინახებოდეს, ეს არ იყო სისრულეში მოყვანილი, რის განხორციელების მოგროვილი ფული გატაცებული იყო უმთავრეს სახელოსნოს ფურნიდან. სარევიზიო კომისიის აქტებიდან ნათლად ჩანს რა ბოროტ-მოქმედება იყო გამეფებული სხვა-და-სხვა რაიონებში, მით უმეტეს მე-25—9—6. მე არ შეუდგები ყველას წაკითხვას, საილუსტრაციოთ გაცნობთ ბ-ნ ცინცაბაძის მოქმედების შესახებ, რომელმაც დიდი ზარალი მიაცუნა ჩვენს ისედაც გალატაკებულ კომიტეტს. ამ ვაუბატონს ჰქონდა ფულად სხვა და სხვა საქონლის სახით წადებული არა ნაკლებ 330,000 მან. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ კაცმა მარიამობისთვის ნახევრიდან ენკენისთვის გასვლამდის ვერაფერი შეიძინა. სასურსათო კომიტეტს ჰქონდა საშუალება დარწმუნებულიყო იმის უვარგისობაში, მიუხედავად ამისა ოქტომბრის 4-ში კიდევ ეძღვევა 50,000 მან. და ამ ცინცაბაძის წყალობით ჩვენ ვზარალობთ არა ნაკლებ 150,000 მ. ამავე სარევიზიო კომისიის აქტებიდან ჩანს, რომ მრავალი პირი, რომელთაც წილი უძვეთ სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებაში, ისევე განაგრძობენ თავიანთ საგმირო საქმეებს. საქიროა რაც შეიძლება ჩქარა სასურსათო კომიტეტის შტატის გაწმენდა უვარგისი შტატის ყოლა—აი ქვა-კუთხედი ყოველივე ბოროტ-მოქმედებისა. აგრეთვე არ შეიძლიან თქვენა ყურადღება არ მივაქციო იმ გარემოებას, რომ

ხაზი მოკლებულია თვითმოქმედების უნარს. ბევრჯელ შეეძლო ადგილობრივ ბევრად ნაკლებ ფასებში შეეძინათ საქონელი, მაგრამ, როდესაც ცენტრი პირველობდა ნურაფერს შეიძენთო და თვითონაც არაფერს აძლევდა, აი ეს იყო მიზეზი, რომ ხაზი მუდამ უსურსათოდ რჩებოდა. ყველა ჩემი ზემო ნათქვამის შემდეგ მე ცენტრალურ პრ. კავშირის დავალებით საქიროდ მიმჩნია განვაცხადო: რომ ცოტათი მაინც მოგვარდეს სასურსათო საქმე, ამისთვის საქიროა: 1) რაც შეიძლება ჩქარა შემოღებულ იქნას ერთგვარი სისტემა პასუხისმგებლობა ყველა აგენტისა და ანგარიშის საღს ნადავზედ დაყენება, 2) შტატის შემადგენლობას მიექცეს ყურადღება, 3) პასუხისმგებლობა მიცემულ და გადაყენებულ იქნას ყველა ის პირი, თანახმად სივხდის დადგენილებისა, რომლებსაც გამოძიების შემდეგ ბრალად ედებათ ესა თუ ის ბოროტ-მოქმედების ჩადენა.

**ათაბეგი.** მომხსენებელი ამხანაგი ბერეჟიანი დამეყარა სარევიზიო კომისიის ცნობებს, მას ეგონა, რომ ეგ ცნობები ახლია, ნამდვილად კი სარევიზიო კომისიის აქტი და იქ მოყვანილი ცნობები მეტათ ძველია. როგორ შეიძლება ლაპარაკი იმ ცნობებზე, რომელზედაც იქონია გავლილ წელში მსჯელობა რკინის გზის დელეგატთა ყრილობამ და დასლო თავისი მსჯავრი? აქ დიდი გაუგებრობა არის მომხსენებლის მიერ. ამით აიხსნება, რომ არც ერთი მის მიერ მოყვანილი ცნობა არ ეთანხმება საქმის მდგომარეობას. უმთავრესი დებულება მომხსენებლისა, ვითომ სასურსათო კომიტეტი მიდიოდეს ძველი გზით, მოკლებულია ხიმათლეს: ძველი საქმის გაუქმების ინიციატორი მე ვარ. ყველაზე ადრე მე მივქციე ყურადღება იმ გარემოებას, რომ რკინის გზის კომიტეტების შენახვა ძველი წესით და და ფორმით შეუძლებელი იყო. ჩემ მიერ წარდგენილი სისტემა სასურსათო საქმის მოწყობისა ყრილობამ მოიწონა და მომანდო მე სისრულეში მომეყვანა. როგორც ცენტრალური სასურსათო კომიტეტი, აგრეთვე მე, როგორც მთავარი რწმუნებული ყრილობისა, ყველაზედ მეტად დაინტერესებული ვართ დროთი მოვანდინოთ ლიკვიდაცია ძველი სასურსათო კომიტეტისა და ჩამოვყალიბოთ საქმე სისტემის მიხედვით, კოოპერატივების ფორმით. ამ საქმეს შეუდგეით დიდი ხანია, ბევრგან დავხურეთ კიდევ რაიონებში არსებული სასურსათო კომიტეტი, მაგრამ სამწუხაროდ გამოცდილი, დახელოვნებული ამ სფეროში მკოდნე პირთა (კოოპერატივების გამგეების და მოანგარიშეების) უყოლობის გამო კიდევ ბევრად დაგვიჩა დასახური სასურსათო კომიტეტები. განა შეიძლება მტკიცება იმისა, რომ ჩვენ კიდევ ძველი გზით მივიღებთ?!

ცენტრალურ სასურსათო კომიტეტის მოქმედებაზე მსჯელობა შეიძლება მაშინ, როცა დამთავრებული იქნება წლიური ანგარიში (მარტის ბოლოში). იქ იქნება მოყვანილი ყველა ნაირი ცნობები, რომელმა რაიონმა რამდენი და რა სურსათი მიიღო. ახლა ლაპარაკი ამ საქითზე უნაყოფო იქნება. დიდი უმრავლესობა მუშა-მოსამსახურისა განიცდის დიდ გაკირვებას, სასურსათო კომიტეტი აკმაყოფილებს მოთხოვნილების ნაწილს, მაგ. ორი სამი გირ. პურის მაგიერ აძლევს ნახევარ გირვანქას, ამიტომ ადვილათ გასაგებია, რომ ამ ნიადავზე მასსა უკმაყოფილოა ცენტრალურ სასურსათო კომიტეტის, რომელიც მათ შეხედულობით მოვალეა ყველა გააძლოს, ჩააცვა-დაახუროს. ასეთ გრძობას არ უნდა აყენენ მოწინავე ამხანაგები, მით უმეტეს მომხსენებელი, მაგრამ სამწუხაროდ, როგორც ვხედავ, მუცელს ასეთი მოსახრება არა სწამს.

ცნობები მოლარის, რევიზორების და სხვა მოსამსახურეების შესახებ დღევანდელ სინამდვილეს არ შეეფერება, განსაკუთრებული მოლარე აქნობამდე არ იყო იმიტომ, რომ ვერ მოვნახეთ სანდო პირი. ამიტომ სხვა და სხვა სანდო აგენტებს ვავალებდით ფულის აკრეფას, რა არის აქ ცუდი? რევიზორების დანიშნულება არის სხვა და სხვა მოვალეობის ასრულება. რა ვასაკვირველია, რომ მათ ხან რევიზიის საქმე, ხან ფულის აკრეფა და ხან ფურნე—წისქვილების ზედამხედველობა აწვეთვალათ? ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ფურნესაც და წისქვილებსაც საკუთარი გამგენი ჰყავთ და მათი ზედამხედველობა ბევრ დროს არ მოითხოვს.

ცინცაბაძის შესახებ უნდა ითქვას ჯერ ერთი ის, რომ მას თავდებად დაუდგა თავისი ძმა, რომელიც არის პარლამენტის წევრი და ცენტრალურ გამგეობის ყოფილი წევრი და გარდა ამისა აპერაციები მისი ჯერ არ დამთავრებულია, ამიტომ ძნელია თქმა იმისა, რომ ბოროტ-მოქმედებას ჰქონდა ადგილი. მის აპერაციების ლიკვიდაციის მოსახდენათ მიღებულია ზომები.

**გიორგაძე.** სასურსათო საქმე ვერ არის კარგათ დაყენებული, ეს აიხსნება იმიტით რომ ეს საქმე მეტათ რთული და სერიოზულია. ბევრ ალავას რაიონებში ადგილი აქვს არა ბოროტ-მოქმედებას, არამედ უბრალო შეცდომებსაც. ყოვლად შეუძლებელია პასუხის გებაში იქმნას მიცემული სასურსათო კომიტეტში ყველა მომუშავენი, უნდა გამოვარკვიოთ ნამდვილი დამნაშავენი და მხოლოდ ისინი მივცეთ პასუხის გებაში. მასის უკმაყოფილებას იწვევს ერთის მხრივ საქონლის სიძვირე, ხშირად საქონელზედ ფასების გადამეტება, და ისიც რომ იქ არიან მოსამსახურეებთ ბევრი არა სასურველი ელემენტები.

სურსათის განსწორების მიზნით არის შესაფერისად მოწყობილი ბაისათვის 10,000 მანუთის მიცემა დიდ შეცდომათ თვლის, რაზედაც უსაყვედურებს სასურსათო კომიტეტს.

**ცხადია** ათაბეგის მოხსენებიდან ჩანს რომ ბოროტ-მოქმედებას სასურსათო კომიტეტში ალავი არ ქონებია. უმთავრესი მიზეზი, რომელიც ქმნის სასურსათო საქმეში ანარქიას, არის უსისტემობა. საქმის წარმოება ძალიან ცუდათ არის დაყენებული. რევიზორები და ანსტრუქტორები არაფერს აკეთებენ. სურსათის შეძენის უფლება რაიონებს წართმეული აქვთ. აგენტები, რომლებსაც დავალებული აქვთ სურსათის შეძენა, სრულიად უმოქმედონი არიან. ბაზრის ფასებთან შედარებით საქონელი დიდ ფასებში იყიდება, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს მუშა-მოსამსახურეებში.

**უგლაგა.** მას არ აკმაყოფილებს მოხსენებები სასურსათო საქითებზე. ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ მოგვცა ნამდვილი წარმოდგენა დღევანდელ სასურსათო მდგომარეობაზედ. მთავარმა სასურსათო კომიტეტმა ჯერაც არ იცის თუ რომელ რაიონებში რამდენი ფულია გაფლანგული, ეს კი აიხსნება იმიტით, რომ არ არის შესაფერისი აპარატი. ამაში მეტი ნაკლებობით როგორც ცენტრი, ისე რაიონებიც დამნაშავენი არიან. წარსულ შეცდომებზე ბევრი ითქვა და ამიტომ ამაზე ლაპარაკი ზედ მეტათ მიმჩნია. მომავალში სასურსათო საქმის შესაფერისად დაყენებისთვის საქიროა ცენტრის ამუშავება. რაიონებმაც უნდა გაუწიონ მას შესაფერისი დახმარება უამისოდ ცენტრი ვერაფერს ვერ შესძლებს.

**ნინუა.** მისი აზრით ცენტრალურ გამგეობას სრული უფლება აქვს კონტროლი გაუწიოს ყველა ორგანოებს კავშირისას, და უკვირს რომ ამის შესახებ აზრთა სხვა და სხვაობაა. სასურსათო საქმე იმდენათ რთული და სერიოზული საკითხია, რომ საქიროა ამ კითხვასთან ფრთხილად მივიდეთ, და ისე დავიწყოთ კრიტიკა. ბევრ საკითხებში მას სრულიად აკმაყოფილებს ათაბეგის განმარტებები. ბევრი პირები ამბობს ის პასუხის გებაში უნდა ყოფილია მიცემული, და რათ არ მოხთა ეს გაუგებარიაო.

**ლუკაშვილი.** იმ ამხანაგებს, რომლებიც გაცხარებით კრიტიკას უკეთებენ სასურსათო კომიტეტს, ავიწყდებათ ის მდგომარეობა, რომელშიდაც დღეს ჩვენ მუშაობა გვიხდება. ცენტრალური სასურსათო კომიტეტის გამართლება მე სრულიად არ მინდა, მხოლოდ ვამბობ სასურსათო კომიტეტთან ერთად ჩვენც დამნაშავენი ვართ. დღემდე ჩვენ კრიტიკის მეტს არაფერს არ ვაკეთებდით. მომავალში



# რკინის გზა კავშირის ცენტრალური გამგეობისგან

ჩვენი მოვალეობაა დავებნაროთ სასურსათო კომიტეტს თავის მოვალეობის შესრულებაში.

**შენგელია.** მოხსენებიდან გამოირკვეა, რომ თუ რაიმე შეუძენია სასურსათო კომიტეტს, ყველაფერი დაჩიგულა თფლისის კვანძში. რა დააშავა ლანდაგის მოსამსახურებმა კი არ ვიცო, ამბობენ სასურსათო კომიტეტს ვალები აქვს და უნდა გადავიხადოთ. უნდა გადაიხადონ სწორეთ იმით, რომლებიც სურსათს ღებულობდნ და არა ჩვენ. სამტრედია სურსათის მხრივ სრულიად დავიწყებულია, ეს არა ნორმალური მდგომარეობაა და ამას ბოლო უნდა მდებოდეს. საჭიროა სურსათი ყველაზე თანასწორათ იქნას განაწილებული.

**ჯინჭარაძე.** ის არ შეცდება, ვინც არაფერს აკეთებს, მაგრამ ნათლად შეცდომა არ არის საპატივო. მაშინ, როცა ვიცით თუ ვინ არის ბოროტ-მომქედნი, იმას ჩვენი ამხანაგების რეკომენდაცია ვერ უნდა შევლოდეს. აქ ლაპარაკობდნ კარჩინსკზე, მარა მე ვიტყვი მაგისთანა კარჩინსკები ბევრი არიან, და სამწუხაროთ ჯერაც კი თავისუფლად დასეირნობენ.

**მეიპარიანი** წინააღმდეგია სასურსათო კომიტეტის და მოითხოვს კოოპერატივების დაარსებას. ფიზიკურად მშრომელნი, ამბობს ის, სურსათის უქონლობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან, და ამიტომ უმჯობესია სასურსათო კომიტეტი სრულიად გაუქმებული იქნას.

**ხურიძე** მწარე სინამდვილეს ვერ გავეცდებით და უნდა ვსთქვათ, რომ ახალი სისტემა სასურსათო ორგანიზაციის უფრო გლახა გამოდგა, ვიდრე ძველი. წინათ სურსათითაც უფრო გვაკმაყოფილებდნ, და უფრო ნაკლებ ფასებშიც იყიდებოდა.

**გზარაძე** ამბობს, რომ მას უხდება, როგორც ორი კვირის წინ, ისე ეხლა უსაყვედუროს ამხ. ათაბეგს, რომ ის ყველაფერში თავს იმართლებს და არც ერთ შემთხვევაში სასურსათო კომიტეტის შეცდომას ან სისუსტეს არ აღიარებს. ის მასალა, რომლითაც ამხ. მომხსენებელი გამოდის, ძალიან ცოტაა იმ დაგროვილ მასალებიდან, რომლებიც სარევიზიო კომისიას აქვს სასურსათო საქმის შესახებ. აქ ამხანაგები ესმებიან მარტო ცენტრალურ სასურსათო კომიტეტს. ჩვენი აზრით, თუ ცენტრ. სასურსათო კომიტეტი დამნაშავეა დაუდევრობაში და სისუსტეში, უმეტესობა რაიონულ სასურსათო კომიტეტებს დანაშაულობა მიუძღვის ბოროტ-მომქედებაში. ის ბოროტ-მომქედნი დღემდე დაუსჯელად დარჩენ და ზოგიერთები სურსათის საქმეებსაც განაგებენ. ეხლა მხოლოდ, როდესაც ყვირილი მოვრთეთ, მიღებულია ზომები მათ წინააღმდეგ. ზოგი ორატორები წინააღმდეგია ახალი სის-

ტემის და მოიგონებენ წარსულ კომიტეტებს, რომლებსაც სურსათი საკმაოდ ჰქონდათ, დღეს კი თითქმის არაფერი არ არის, მაგრამ იმათ ავიწყდებათ, რომ მაშინ სურსათი ბაზარზე ბევრი და იაფი იყო და ამას გარდა იყო ხანა მტაცებლობისა, როდესაც რეკვიზიციის და კონფისკაციის სახით ბევრი საქონელი იყო შეძენილი. ამას დღეს ჩვენ მოკლებული ვართ. ძველი სისტემა მარტო იმიტომ არ არის მოსაწონი, რომ მისი წყალობით აუარებელი ფულია გაფლანგული, — მარტო მეცხრე რაიონში ნახევარი მილიონი დაიდუბა. ახალი სისტემა იმიტომ კი არ არის უფარგისი, რომ ის ახალია, არამედ იმიტომ, რომ შტატი მოსამსახურეების ვერ არის კარგი. მაგრამ, საუბედუროდ, დღეს ზედმეტ რაღაც ქურდობას და ძალიან ძნელი შეიქმნა პატიოსანი ხალხის შოვნა. ამისათვის ყველაფერ უბედურებაში ვერ დავსდებთ ბრალს სასურსათო საქმის ხელმძღვანელებს.

ბევრი რაიონები წინააღმდეგობას უწევენ ცენტრს ახალი სისტემის გატარებაში, როგორც მაგალითად, დეპო და ვგრედ წოდებული მეექვსე უბნის ფურნე. დეპო ამასაც გადააკარბა და აღარ შეაქვს ცენტრის საღაროში ფურნის მოგება, — ეს უნდა, როდესაც სურსათის ობერაციებზე მას ორჯერ მეტი წაგება აქვს. თუ ასეთი ანარქია გაგრძელდა, მაშინ საქმე დაღუპული იქნება, და მე ვამბობ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცო, ზოგიერთი რაიონების დადგენილება სასურსათო საქმის გაუქმების შეახებ და ისიც, რომ სურსათით ვერ კმაყოფილება მუშა-მოსამსახურეები, — სასურსათო საქმის მოსპობა იმდენ ზიანს მოგვტანს, რომ ჩვენი მდგომარეობა აუტანელი იქნება.

უნდა აღვნიშნო, რომ ლიანდაგი ვერ კმაყოფილდება სურსათით ისე, როგორც თბილისი. ამ უსამართლოების წინააღმდეგ სარევიზიო კომისიამ რამდენჯერმე მიმართა სასურსათო კომიტეტს და ვიმედოვნებ, რომ ეხლა მაინც გასწორდება ეს და სამართლიანად დაურიგდება ყველას სურსათი.

ჯერ მთლიანად არ არის ჩამოყალიბებული ახალი სისტემით სასურსათო საქმე, ამისათვის უკანასკნელი სიტყვა მასზე არ ითქმის. საჭიროა დახმარება და მასთან ფიზიკური კრიტიკა გარეშე პირებისგან: მეტი ენერჯია და ყურადღება თვით კომიტეტისგან.

ამხ. ათაბეგს ეშინია, რომ სასურსათო საქმეში ორასამდე კაცი იყო და ყველა როგორ დასჯებოდა. უნდა დაისაჯონ ის პირები, რომელთაც დაუმტკიცდება დანაშაული, ან ის პირები, რომლებიც დანაშაული ეხლავნ ჩვენთვის აშკარაა.

(გაგრძელება იქნება)

11 მარტს, დილის 9 საათზე, რკინის გზელების საცხოვრებელ სახლის კბებზე, თავის ბინის მახლობლათ უცნობ ბოროტმომქედებმა მოკლეს მთავარ სახელოსნოს ვაგონის ცეხის ოსტატი პავლოვი.

ამის გამო სწარმოებს გამოძიება და, რასაკვირველია, საქმის გამოძიების შემდეგ დამნაშავენი დაისჯებიან რესპუბლიკის კანონების მიხედვით.

მაგრამ კერძო პირები სარგებლობენ ამ ტრადიციული შემთხვევით და სცდილობენ შეიტანონ განხეთქილება მუშათა მასაში. ამ ბოროტმომქედების ირგვლივ აგრძელებენ პროვოკაციულ ხმებს, თითქო ეს იყოს აქტი ნაციონალური შტრობისა, როგორც „საშუალება უცხოელების გასაძევებლათ აქედან“.

რკინის გზელთა პროკესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობა აცხადებს პროტესტს უპასუხისმგებლო პირების მიერ ასეთ დაუშვებელ გამოსვლების გამო, რასაც შეაქვს შტრობა-შუღლი მშრომელ მასაში, და მოუწოდებს ყველა შეგნებულ მუშა-მოსამსახურეებს არ აყენენ ამ საზიზღარ პროვოკაციას, ვინაიდან ჯერ არ ყოფილა

შემთხვევა და არც იქნება ისეთი შემთხვევა, რომ საქართველოს დემოკრატის თავის მოქმედების იარაღთ ეხმაროს ტერორი რაიმე კითხვების გადასაწყვეტად იმ დროს, როცა მთელი ძალა-უფლება დემოკრატიის ხელშია. მით უმეტეს დასაგმობი და საზიზღარია ეს პროვოკაცია პატიოსან მუშაკის და საქმის აღმსრულებელ მუშის პავლოვის მოკვლის შესახებ, ვინაიდან პავლოვი, მიუხედავთ თავის პოლიტიკურ რწმენისა, აღნიშნულ თვისებებისთვის რკინის გზელებში სარგებლობდა განსაკუთრებული პატივისცემით და ავტორიტეტით.

კავშირის ცენტრალური გამგეობა ღრმთაა დაწუპუნებული, რომ ეს მკვლელობა არაა აქტი ნაციონალური და პოლიტიკური შტრობისა საქართველოს დემოკრატიის მხრით, და მოუწოდებს ამხანაგებს დაუცადონ გამოძიების შედეგს, რომელიც ნათელს მოფენს ამ ბოროტმომქედებას და იმათ, ვისაც რაიმეში იქვი ეპარება ამ საქმის შესახებ, ეტყვიან სიმართლეს.

ცენტრალური გამგეობა რკინის გზელთა პროფესიონ. კავშირისა.

## გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ

გახ. „ერთობის“ № 56-ში მოთავსებულია წერილი ვინმე „ელის“, რომელიც ეხება მილიციონერების გაზეთ „მილიციას“ და გაცვრით თავის წერილში შეუფერებელი კილოთი იხსენიებს ჩვენს ორგანოს „თავისუფალ გზას“.

ავტორი თავდაპირველათ უკმაყოფილოა იმითი, რომ ამ გაზეთში თითქო პოლიტიკაზე უფრო ბევრი იწერება, ვინემ პროფესიონალურ კითხვებზე.

რომ ავტორი წერილისა კარგათ გაცნობოდ ამ გაზეთს, დაინახვდა, რომ დიდი უმრავლესობა წერილებისა აქ იბეჭდება სწორეთ პროფესიონალურ კითხვებზე, ხოლო თუ თითო-ორი წერილი ეხება პოლიტიკურ კითხვებს, ეს იმით აიხსნება, რომ ხშირათაა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში ისეთი კითხვები, რომელთა ახსნა-განმარტება რკინისგზელ მუშა-მოსამსახურეთათვის ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია. და თუ ეს კითხვები გაშუქებული იქნებიან ისე, როგორც ეს საჭიროა მუშათა კლასისთვის და კლასთა ბრძოლის თვალსაზრისით, აქ ჩვენ გვგონია, დანაშაული არაფერი მიგვიძღვის.

ამ წერილში არის ერთი ბუნდოვანი აზრი. ავტორს უყვარს თუ რა სახარით სცემს რკინის გზის პროფეს. კავ-

შირი გაზეთს მაშინ, როცა ეს ვერ მოუხერხებია თვით კავშირთა ცენტრალურ ორგანოს და მთავრობაც თავის დროზე ვერ აძლევს ჯამაგირს რკინის გზის მოსამსახურეებს.

აღბათ, ავტორი ფიქრობს, რომ რაღაც არა კანონიერი გზით შეძენილი უფლათ იცემა ეს გაზეთი.

ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ საჭიროთ ვთვლით განაცხადით, რომ რკინის გზელების კავშირი გაზეთს სცემს რევილიუციის პირველ დღეებიდან. გასულ წლის სექტემბრამდე გაზეთის ხარჯები იფარებოდა გაზეთის გაყიდვით შემოსულ ფულებისგან და აგრეთვე იმ საწევრო გადასახადიდან, რომელიც იყოფებოდა გამგეობის კასაში. გასულ წლის სექტემბერში მთელი რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობამ კულტურულ-განმანათლებელი ფონდისთვის საჭიროთ დაინახა ყოველ თვე მათ გამორიცხობდათ 1/20 ძირითადი ჯამაგირისა.

აი ამ თანხიდან ცენტრალური გამგეობა ფარავს ყველა იმ ხარჯებს, რაიც გამოწვეულია კულტურულ-განმანათლებელი მიზნებით, მაგალ. ბიბლიოთეკების შენახვა, გზებზე კლუბების მოწყობა, გაზეთი, მოსამსახურეები და სხვა.

რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი ერთი ძლიერი ორგანიზაციათაგანია და, რა გასაკვირალია, თუ მას აქვს თავისი



ქვეყნული მემორიუმები

ორგანო. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ორგანოები აქვთ საზღვარგარეთ ასე თუ ისე მძლავრ პროფესიონალურ კავშირებს და თუ იქ არაა ეს უკანონო მოვლენა, არც აქ უნდა ჩაითვალოს ასეთად.

სხვა რომ არა იყოს, ცენტრალური გამგეობა რკინის გზებთან პროფესიონალურ კავშირისა საქართველოს მისი ნაშრომდარი, ყრილობა-სხდომების ანგარიშები და დადგენილებანი მოყვანილი იყოს სადმე, რომ მუშა-მოსამსახურეებმა იცოდნენ თუ რა კეთდება აქ, და ეს კი შეიძლება მხოლოდ საქუთარ ორგანოში.

დასასრულ უნდა განვაცხადოთ, რომ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს და მათ პროფესიონალურ კავშირს დიდი დევიზი მიუძღვის რევოლიუციისა და ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის გადარჩენაში, ისინი მუდამ იღვწიან და დგანან სწორ რევოლიუციონურ გზაზე და თუ დღეს მთავრობა მეცადინიობს რკინის გზის გაწმენდას შავნე ელემენტებისგან, ამ მხრივ ცენტრალური გამგეობაც ყოველივე ღონისხმარობს, რომ დაეხმაროს მთავრობას გზის გაჯანსაღებაში, მეცადინეობს შეიტანოს რკინის გზის დემოკრატიის, რამდენადაც ეს შეიძლება, სალი აზროვნება, თვითცნობიერება, უნდა დააყენოს ეს დემოკრატია კულტურულ და ზნეობრივ სიმაღლეზე კულტურული მუშაობის გადრეკილით კავშირში და ამიტომ ვფიქრობთ, ჩვენ არ დაგვიმსახურებია ის საყვიღურები და ბუნდოვანი ბრალდებები, რომელიც „ერთობის“ ნ. მ. შ. იყო მოყვანილი.

ამიტომ წერილის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ჩვენს ორგანიზაციას, ჩვენ მიგვაჩნია უბრალო გაუგებრობათ.

სარედაქციო კოლეგია პროტასტი.

რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროტესტი. გაუშინის ცენტრალურმა გამგეობამ ასეთი წერილი გაუგზავნა გ.ზ. „ერთობას“ სარედაქციო კოლეგიას გამოსაქვეყნებად:

გ.ზ. „ერთობის“ № 56-ში ვინმე „ელი“ თავის წერილში „ერთხელ კიდევ მილიციაზე“ გაკვირვებით ეხება რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ორგანოს „თავისუფალ გზას“ და ბუნდოვანი და ორწიფილი აზრებით გახეყული ფრაზებით გამოსთქვამს გაკვირვებას, თუ რა სხსრით იტყვას ეს გაზეთი მაშინ, როცა მოსამსახურეებს მთავრობა თავის დროზე უპასუხებს ვერ აძლევს.

საქართველოს რესპუბლიკის სასაზიანო გზების მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ განიხილა ეს წერილი 11 მარტის სხდომაზე და დაადგინა:

გამოცხადოს პროტესტი ბ. „ელი“-ს ასე უდაურათ სსენებისათვის იმ ორგანიზაციისა,

რამეღმაც თავის მხრებზე გადიტანა მთელი სიმძიმე რევოლუციისა. ბუკრეულ ელვას უდგას ბურჟუაზი თქვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას და შეუწყველად სდგას თავის რევოლუციონურ გზაზე. ამასთანავე ცენტრალური გამგეობა გამოსთქვამს თავის მიწინააღმდეგობას, რომ ასეთი წერილი მოთავსებული იქნას ჰარტის ცენტრალურ კომიტეტის ორგანოში. სთვლის რა ასეთი წერილის მოთავსებას შესახებ რკინის გზის დემოკრატიის უბრალო გაუგებრობათ, ცენტრალური გამგეობა დაწინაურებულია „ერთობის“ სარედაქციო კოლეგიას მოახდევინებს ბოდიშს წერილის ავტორს რკინის გზის დემოკრატიის და მის ორგანოს ასე უდაურათ მსსენებისათვის.

ბ. „ელი“-ს უდაური კიდევ უფრო სსწყენია იმიტომ, რომ ის არ განცხადებებს ორგანიზაციას, არ იცის თუ რა სხსრით სუფდგმუდობენ რკინის გზის კულტურული დაწესებულებები.

გასულ წლის სექტემბერში რკინის გზელთა სსერთო ურდობის გადაწყვეტილებით მოსამსახურეების ძირითადი უპასუხების 1/2-ი იხარჯება კულტურულ-განმანათლებულ მიზნებს, როგორცაა ბაბლითაუკები გზაზე, კლუბები, გაზეთი, მოსამსახურეების შენახვა და სხვა.

რკინის გზის ცენტრალური კულტურულ-განმანათლებული კომისია დიდს შრომას ეწევა დღეს, რომ გააჯანსაღოს რკინის გზის დემოკრატია, შეიტანოს მისში კლასიური თვითცნობიერება, აამდღას ის კულტურულია. ამ მიზნით და არა მარტო-გამგეობის ხელის შტაბით, როგორც ბ. „ელი“ ბრძანებს, არსებობს სხვათა შორის კავშირის ორგანოც. და ბ. „ელი“ უნდა იცოდეს, რომ თავისუფალ ქვეყნებში ცხატათ თუ ბუკრათ მძლავრ პროფესიონალურ კავშირებს აქვთ თავიანთი ორგანოები, რომლებშიადაც იქნება და შექვდება ბრფესიონალის წრელებთან ერთად ზოლიტიკური სსსიათის წრელებიც, რამდენათაც ისინი დაკავშირებული არიან მუშათა კლასის ინტერესთან. და თუ სხვაგან ეს არაა გასაგებნი, არც აქ უნდა იყოს.

ჩვენს ორგანოში კი, ვინც თვალ უერთად გადაიხილავს მას, დანახავს, რომ პროტესტი კითხვებს გაცილებით მეტი ადგილი უჭირავს, ვიდრე ზოლიტიკურ კითხვებს.

დასასრულ ცენტრალური გამგეობა აცხადებს, რომ ის არავის მიდგმს ნებას ასე იფლათ და უდაურათ წამოკრან სელი მის რეპუტაციას და სთხოვს სარედაქციო კოლეგიას მოათავსოს ეს წერილი არა უგვიანეს სსამი დღის—იმ ადგილას, სადაც იყო მოთავსებული ბ. „ელი“-ს წერილი.

საქართველოს სასაზიანო გზების მუშა-მოსამსახურეთა პროტესტი. გაუშინის ცენტრალური გამგეობა.

რკინის გზის პროფ. კავშირის ცენტრალური გამგეობაში.

13 თებერვლის სხდომა. გვარდიელების მიმოსვლა. ცენტრ. გამგეობამ განიხილა ჯავნოსნების უფროსის ვ. გოვჯაძის შუამდგომლობა

გვარდიელების რკინის გზაზე მოგზაურობის შესახებ და დაადგინა: ვინაიდან კანონიერია რკინის გზების უფროსის განკარგულება, რომ გვარდიელებს ჰქონდეთ მატარებლებში მისვლამოსვლის დროს შესაფერისი ლიტერები, ცენტრალური გამგეობა მოკლებულია საშუალებას მოითხოვოს, რომ გვარდიელებს მიეცეს უფლება იმოგზაურონ მატარებლებში თავიანთი უფროსების მიერ მიცემულ სხვა და სხვა მოწოდებით.

საყინულე. ცენტრალურმა გამგეობამ აუცილებელ საქართველოში მომავალ ზაფხულში ცემში საყინულე გაყვებულ იქნას თოვლით იქვე სასანიტარო-საექიმო საქიროებისთვის.

20 თებერვლის სხდომა.

ნაციონალიზაცია. ვინაიდან სემიონოვა არის ყოფილი გვარდიელის ქვრივი, რომლის ქმარი მოკლულ იქნა ერევანში დარაჯობის დროს, გამგეობამ დაადგინა, მიეცეს სემიონოვას უპირატესობა და, როგორც გამონაკლისი, არ იქნას ის დათხოვნილი სამსახურიდან, იმ პირობით, რომ მან მოკლეს ხანში შეისწავლოს სახელმწიფო ენა.

23 თებერვლი.

წარმომადგენელი სასურსათო კომიტეტში. სასურსათო კომიტეტში წარმომადგენლად ნახიძის მაგიერ (გაცილდა თანხმად განცხადებისა) არჩეულ იქნა კუპრაშვილი.

შუამდგომლობა. ცენტრ. გამგეობამ დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე ყარაშან ნინიძის დასაკმაყოფილებლად ვინაიდან მან ბათუმის დაცემის დროს ვერ გადაარჩინა თავის ქონება მხოლოდ იმიტომ, რომ პირველ რიგში გამოიტანა ბათუმიდან რამოდენიმე ათასი მანეთის ლირებული სახელმწიფო ქონება.

სამტრედიის კლუბი. სამტრედიის რაიონულმა გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა, რომ კლუბი გადაეცეს რაიონული გამგეობის კულტურულ განმანათლებელ კომისიას, ვინაიდან კლუბი არის ისეთი დაწესებულება, რომელიც ეკუთვნის რაიონის ყველა მოსამსახურეს მათი გათვითცნობიერებისათვის. გამგეობამ დაადგინა, შუამდგომლობა გადაეცეს სამტრედიის კულტურულ-განმანათლებელ კომისიას სისრულეში მოსაყვანათ.

კავშირის სსოპრება

შორაპანში. 18 თებერვალს სად. შორაპანში შესდგა მე-3 რაიონის პროფ. სექციების გამგეობათა შეერთებული კრება.

დღის წესრიგში დაისვა შემდეგი საკითხები:

- 1. მოწოდება რკინის გზებისადმი ცენტრალურ. პროფ. კავშ. გამგეობისა.
2. მოწოდება მე-3 რაიონის გვარდიის შტაბისა.

- 3. სასურსათო საქმის მძლავრობა რაიონში და კაცის მძლავრობა.
4. სექციების შეთანხმებული მუშაობის შესახებ.
5. აღმინისტრაციასთან შერეული კომისიის დაარსება.
6. დაწინებული ცემენტის შესახებ.
7. ბინების შესახებ.
8. სათბობ მასალის შესახებ.
9. სამკითხველოების და კიოსკების შესახებ.

1 და მე-2 საკითხის შესახებ გადაწყდა: სადაც შესაძლებელია: მოწვეულ იქნას ეხლავე სექციების ყველა წევრების კრება, რომელიც გამოარკვევს თუ რამდენი კაცი შეიძლება, სამსახურის დაუბრკოლებლად, რომ ჩაეწეროს გვარდიის, —სექცია, რომელიც გამოარკვევს გვარდიის ჩაწერით მსურველთა რიცხვს, უდგენს სიას რაიონულ გამგეობას, უკანასკნელი კი ადგილობრივ შტაბს საერთო სიით.

მესამე საკითხზე გადაწყდა: 1) გაიგზავნოს ერთი კაცი ზუგდიდში სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელ ჩხეტიასთან და მოსთხოვოს მას, რომ დააჩქაროს გამოგზავნა იმ სამი ვაგონი სიმინდის, რომლის შესახებ მას უკვე ჰქონია სათანადო განკარგულება და, რაღაც მიზეზით, ეს დღესაც შეუსრულებელია მისგან. გასაგზავნათ ამორჩეულ იქნა გამგეობის წევრი ა.ბ. პ. ჩოკორაია. 2) აირჩეს კომისია ორი კაცისგან შემდგარი, რომელიც უნდა წავიდეს თფილისში და აცნობოს ცენტრალ. პროფესიონალურ კავშირის გამგეობას სასურსათო დარგის ნაკლულევიანებები, რათა მიღებულ იქნეს ზომები ამ საქმის მოსაგვარებლად და მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად. ღირეკტივებს ამ კომისიას, სასურსათო დარგის ნაკლულევიანების შესახებ აძლევს რაიონული გამგეობა. მეოთხე საკითხის შესახებ კრება უკამათოთ იღებს ა.ბ. ქათამაძის წინადადებას, აირჩეს კომისია, რომელიც უნდა გამოიმუშაოს საერთო ხაზი, კონტაქტი, რომლის მიხედვით უნდა სწარმოებდეს მუშაობა სექციების და რაიონულ გამგეობათა შორის. კრებამ აღნიშნა აგრეთვე რომ არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც აღმინისტრაცია კავშირის დაუკითხავად და შეუტყობინებლად ამა თუ იმ მოსამსახურეს აღმატებას აძლევს, აქვეითებს სამსახურში ან და სრულიად ითხოვს სამსახურიდან, რაიც არ უნდა ხდებოდეს. მეხუთე საკითხის შესახებ: გადაწყდა, რომ იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელთა მიღება-დაათხოვა არ შეეხება კავშირს, საქიროა დაარსდეს შერეული კომისია აღმინისტრაციასთან. მეექვსე საკითხის შესახებ: დაწინებული ცემენტის შესახებ გადაწყდა: ვინაიდან აღნიშნული ცემენტი, რომელიც იხანება შორაპანის საწყობში, რკინის გზის შენობებისთვის უფარგისია, ამიტომ მიეყილოს იგი



მოსამსახურეთ, რომელიც გადასცემენ მას ყვირილის გინაზიას მოწაფეთაგის საცალ ფეხო გზის შესაკეთებლად. მე-  
**შვიდე საკითხის შესახებ** გადაწყდა: გინაიდან ბინების განაწილება ამ ეპო-  
 მად ხდება ისევე ძველი ნიკოლოზის დროინდელი წესებით, დაევალოს რა-  
 იონული გამგეობას, რათა მან იშუამ-  
 დგომლოს ცენტრალურ გამგეობის წინაშე, რომ ბინების განაწილება მო-  
 სამსახურეთა შორის ხდებოდეს დემო-  
 კრატიულ ნიადაგზე. რომ ეს ასე ხდებოდეს, საჭიროა ბინების განაწი-  
 ლებულ კომისიის შემადგენლობა შეიცვალოს პარტიკულ ნიადაგზე.  
**მერვე საკითხის შესახებ გადაწყდა:** დაევალოს იმ კომისიას, რომელიც მიდის თბილისში სასურსათო საკითხის გამოსარკვევად, მივიდეს სამასლო განყოფილების უფროსთან და მოსთხოვოს, რომ მან დააჭაროს შეშის და ნახშირის გამოგზავნა ადგილობრივ საწყობში, როგორც სახაზინო სახლებში, აგრეთვე კერძო ბინებზე მცხოვრებ მოსამსახურეთათვის. **მეცხრე საკითხის შესახებ გადაწყდა:** დაარსდეს შორაპანში წიგნთ-საცავ სამკითხველო, ქიათურაში — სამკითხველო, ყვირილაში — სამკითხველო, ხარაგოულში — კოსკი და მარგელისში — კოსკი.

**რკინის გზის საავთმყოფოში.** დეპოსა და მთავარ სახელოსნოს პროფეს. კავშირის რაიონულმა გამგეობამ დაადგინა მიექცეს სერიოზული ყურადღება რკინის გზის საავთმყოფოს მთელ საბ-  
 კურნალო პერსონალს და მის ანტი-სანიტარულ მდგომარეობას. გამგეობამ წინადადება მისცა კავშირის ცენტრალურ გამგეობას დანიშნოს შეერთებული სხდომა თბილისის კვანძის ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციათა, ცენტრ. განგეობისა და საავთმყოფოს ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა რკინის გზის საავთმყოფოსა და სამკურნალო პერსონალის შესახებ კითხვის განსახილველად.

**ორთქლმავალთა ბრიგადების ყრილობა.**

11 თებერვალს 1919 წ. იყო მოწვეული საქ. ს. რ. გ. ორთქლმავალთა ბრიგადების ყრილობა ყოფილ ამიერ კავკასიის რ. გ. ორთქლმავალთა ბრიგადების ცენტრალური გამგეობის ლიკვიდაციისთვის.

ყრილობამ ერთხმად აირჩია თავმჯდომარეთ ნ. ბერეჟიანი, ამხანაგათ ნ. ჩლაიძე, მდივანთ ა. მარგველაშვილი.

დღიურ წეს-რიგის საკითხების განხილვის შემდეგ იყო გამოტანილი შემდეგი რეზოლიუციები:

1. ცენტრალური გამგეობის ლიკვიდაცია: მოისმინა რა მოხსენება ცენტრის ლიკვიდაციის შესახებ, ყრილობა გამოსთქვამს რა სინანულს მისი გაუქმების გამო, რომელმაც შეძლებისა და

გვართ ამ ნგრევის ხანაში გამოიჩინა ფხა და უნარი რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებაში და მატერიალურად ცხოვრების გაუმჯობესებაში, მიუხედავად ყველა ამ დეაწლის, ყრილობა საჭიროდ სცნობს დაემორჩილოს ს. ს. რ. გ. მუშათა და მოსამსახურეთა დელეგატების 1 ყრილობის დირექტივებს და სცნობს კანონიერ მემკვიდრეთ უკვე არსებულ ყველა მუშა-მოსამსახურეების პროფესიონალური კავშირის ცენტრალურ გამგეობას. ამასთანავე ავალებს თბილისის დეპოს ორთქლმავალთა ბრიგადების სექციის განგეობის ცენტრში მყოფ ამხანაგების ბერეჟიანის და შავგულიძის მონაწილეობით უხელმძღვანელონ მთელი ხაზის (ლ ნია) ადგილობრივ სექციებს.

2. რვა საათის სამუშაო დღე და მისი ცხოვრებაში გატარება.

მოისმინა რა ყრილობამ მოხსენება რვა საათის სამუშაო დღის და მისი ცხოვრებაში გატარების შესახებ, იღებს რა მხედველობაში თანამედროვე პოლიტიკური მომენტის სირთულეს და აგრეთვე ტენიკურ დაბრკოლებებს მის ცხოვრებაში სისწორით გატარებისთვის, ძალა-უნებურად იღებს კანონპროექტს, გზმოსთქვამს სინანულს ზოგიერთი მუხლების ნაკლებოვანების შესახებ, რომლებიც არღვევენ ძირითად პრინციპს რვა საათის სამუშაო დღისას; აგრეთვე გამოსთქვამს სურვილს, რომ ცენტრ. გამგეობამ თავს იღოს თანდათან შეიტანოს ცვლილება იმ მუხლებში, რომელიც არ შეესაბამება რვა საათის სამუშაო დღის პრინციპს.

3. აღმატება შექმდე კლასებში.

ყრილობა პრინციპილურად მომხრეა აღმატების, ხოლო წარმატება მიეცეს იმ პირებს, რომლებმაც გამოიჩინეს უნარი ამ უკანასკნელ მომხდარ ამბების დროს. ტენიკურად და პრაქტიკულად ამის ცხოვრებაში გატარებას ანდობს იმ კომისიას, რომელიც არსებობს სამექანიკო განყოფილების უფროსთან; იგივენი დაგზავნიან ადგილობრივი სექციებისათვის ინსტრუქციებს.

4. ურთიერთ შორის დამხმარე კასის დაარსება.

ყრილობა ერთხმად აღარებს ურთიერთ-შორის დამხმარე კასის დაარსების საჭიროებას, ანდობს თბილისის დეპოს სექციის გამგეობას შეიმუშაოს ინსტრუქცია და დაუგზავნოს ყველა ადგილობრივ სექციებს კასის ტენიკურად მოწყობისათვის.

5. სასურსათო საკითხი.

მოისმინა რა მოხსენება სასურსათო საქმის შესახებ, ყრილობამ დაადგინა: ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ხაზი (ლინია) სრულებით არ სარგებლობს არავითარი სანოვავით ცენტრ. სასურსათო კომიტეტისგან, მიუხედავად იმ-

სა, რომ ჩვენი გზა თითქმის ერთ მესამედ შემცირდა და საშუალება ეძლეოდათ უფრო მეტი ყურადღება მიექციათ ხაზისთვის, აგრეთვე ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ვერავითარი სისტემა ვერ შექმნეს, არ არის არავითარი ანგარიში სწორედ დაყენებული, რის გამო ფართო ასპარეზი ეძლევა ყოველ გვარ ბოროტ-მოქმედებს, ამასთანავე კრება იღებს რა მხედველობაში იმას, რომ საქმის მაგივრად გვიმზადდება კატასტროფა სასურსათო საქმეში, რაც სახელს გაუტეხს ცენტრში მყოფ ჩვენს ამხანაგებს, ყრილობა საჭიროდ სცნობს გაუქმებულ იქნას ცენტრ. სასურსათო კომიტეტი და წინადადებას აძლევს ცენტრალურ გამგეობას იღოს თავის თავზედ ინიციატივა მის ლიკვიდაციისათვის.

თავმჯდომარე ნ. ბერეჟიანი.  
 მდივანი ა. მარგველაშვილი.

**მეექვსე უბნის მოსამსახურეები.**

მექვსე უბნის გზის ოსტატები ხშირად ატყობინებენ ადმინისტრაციას და სექციის გამგეობას, რომ ზოგიერთი მუშა-ხელოსან-მოსამსახურეები უფრო ხშირად, შაბათობით და ორშაბათობით, ადმინისტრაციის დაუკითხავად სტოვებენ სამუშაოს დღის 8-9 საათიდან, იპარებიან თავთავიანთ სახლებში და ბრუნდებიან მხოლოდ ორშაბათობით 9-10 საათზე და ამავე დროს კი მოითხოვენ ადმინისტრაციისაგან — გზის ოსტატისაგან, რომ მათ ეს განამტკიცოს დღეები სრულიად ეწყობოდეთ, რომელი მოთხოვნილებაც პატიოსან მუშა-მშრომლის მოთხოვნილებას არც შეეფერება და არც დასაშვები არის. ამისთვის სექ. გამგეობამ დადგინა:

1. არც ერთ მუშა-ხელოსან-მოსამსახურეს, ვინც უნდა იყოს ის, დღიური, გინდ თფიური, (შტატი) ამ ნაირი განამტკიცარი დღეების ჯამაგირი არა თუ მთელი დღის, ერთი საათისაც არ დაეწეროს.

2. ის მუშა-მოსამსახურე, რომელიც ორჯერ ამ ნაირად, სამუშაოდან უდროვოდ, ადმინისტრაციის დაუკითხავად წავა, ან გაიპარება, ან თუ გვიან დაბრუნდება სამუშაოზე, კავშირისაგან სამუდამოთ დათხოვნილი იქნება სამსახურიდან და მეორეთ სამსახურში გზაზედ აღარ მიიღება, როგორც გზისათვის მავნებელი და არა კეთალ-საიმედო პიროვნება.

**სამხრეთი**

**კლუბის ირგვლივ.** ვინაიდან ადგილობრივი რკინის გზის კლუბი და სამკითხველო აუცილებრივ საჭიროა რკინის გზელთა ოჯახის კულტურულ საქმეებისათვის, ამიტომ რაიონულმა ადგილობრივმა კავშირმა გადასწყვიტა: ეს კლუბი და სამკითხველო გადსცენ

**ადგილობრივ კულტურულ საქმიანობებელ კომისიის შექმნის შესახებ**

ამ სამართლიან რაიონულ კავშირის დადგენილებას წინააღმდეგა 2-3 უბანის მხედველობა პიროვნება: დეპოს უფროსი მ. ხოჯაშვილი, პ. წულაია და სხვები. ამით წყალობით სწორ სამართლიანი დადგენილება ჩაიფუშა და რკინის გზელთა ოჯახში ჩამოვარდა უთანხმოება და არეუ-დარევა. ამიტომ გამგეობა სთხოვს ცენტრს მოახდინოს სასწრაფო გამოძიება, რათა დამნაშავეთ მოეთხოვოს პასუხი და კლუბი და სამკითხველო კი გადაეცეს სარაიონო კავშირს. მხოლოდ ესეთი მოქმედება იხსნის რკინის გზის დემოკრატიას და ქსაქსეისაგან და განხეთქილებისაგან.  
 გამგეობა დაბეჯითებით სთხოვს ცენტრს მიიღოს სასწრაფო ზომები, რადგან ადგილობრივ რკინის გზელთა ოჯახს დანგრევით ეშუქრება.

**კვირიდან კვირამდე საქართველოში**

— ახალციხის ფრონტზე 5 მარტს ჩვენმა ჯარმა საერთო შეტევა დაიწყო და აიღო აწყურხ. ტყვედ წამოიყვანა 18 კაცი. ჩვენის მხრივ მოკლულია ერთი სახალხო გვარდიელი.

— მდ. სუფსის შესართავთან ავაზაკებმა გაძარცვეს ფოთიდან ბათუმისაკენ მიმავალი გემო. მგზავრებს წაართვეს 1 მილიონამდე მანეთი.

— ახალციხის ფრონტზე 6 მარტს ჩვენმა ჯარმა სოფ. ზაქალსა და ფხცევისაკენ წაიწია. დაგვაქრეს 7, მოგვიკლეს 2, — მათ შორის პეტრე ლალიძე. ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდომტრის 1 ტყვიის მფრქვეველი.

— 7 მარტს დღით ჩვენმა ჯარმა ახალციხე დაიკავა.

— მთავრობის განკარგულებით მოხსნილია სამხედრო წესები ქალაქ თბილისში.

— მოხალისეებს დიდი უწყსოება ჩაუდენიათ და მცხოვრებლებზე ძალმომრეობა უხმარიათ სოქის ოლქში შესვლის დროს.

— დამფუძნებელ კრებაში გავიდნენ: სოც.-დემ. 109 დეპუტატი. ნაც.-დემ. 8, სოც.-ფედ. 8, სოც.-რევ. 5 დეპ.

— 12 მარტს შუადღის 12 საათზე, სასახლის ფეთრ დარბაზში გაიხსნა საქართველოს დამფუძნებელი კრება და გამოცხადდა აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის.

— რუსეთის რევოლიუციის 2 წლის თავის და საქართველოს დამფუძნებელ კრების გახსნის აღსანიშნავათ თბილისის სხვა-და-სხვა უბანში გაიმართა მანიფესტაციები და მიტინგები.

— დიდი ბრიტანეთის მისიის დროებით უფროსად დაინიშნა ბაქოს ყოფილი გენერალ-გუბერნატორი გენ. ტომსონი.

შეცდომის გასწორება... ლი გზის" № 10-ში მუშაობის დასაწყისში... მუ 25 სტრუქტურულ სწერას: „ეს განხილვა მოხდა 1915 წ. „უნდა იყოს 1905 წელში.

სარედაქციო კოლეგია.

— მთიულთა რესპუბლიკის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრს თავისი მთავრობის სახელით მადლობა გადაუხადა მოხალისეთა არმიის მიერ ჩადენილი ძალადობის დროს გამოხატული მხარეების.

რუსეთში

— აღესაშინა მყოფი საფრანგეთის სარდლობასა და გენ. დენიკინის შორის უთანხმოებამ იჩინა თავი.

— აღმოსავლეთის ფრონტზე ბალშევიკების ჯარი უკან იხევს. უკრაინაში საბჭოთა ჯარმა კაზახინი აიღო და წინ მიიწევეს.

უცხოეთში

— ინგლისის სარდლობის განკარგულებით იარაღი აპყარეს კასპიის ფლოტს და მოხალისეთა არმიის სარდალ გენ. პრეველოსკის წინააღმდეგ მიეცა დასტოვის ბაჟო, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

— სპარსეთის დელეგაცია პარიზში მივიდა საზავო კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად.

— მოკავშირეთა მოთხოვნით გერმანიამ ჯარი 25 ათასამდე უნდა შეამციროს. ამასზე მეტი რიცხვი უნდა დაეჭვებინებინათ მოკავშირეთა კანტროლს.

— ბერლინში სპარტაკელების აჯანყება მთავრობამ ჩააჭრო.

— უმაღლესმა სახელმწიფო საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მოხალისეთაგან შემდგარი გერმანიის ჯარი შემცირდეს 100 ათასამდე.

— პაროკოში მკაცრი ზომებია მიღებული გერმანიის პარლამენტის წინააღმდეგ. იქნა დადგენილი ზოგიერთი გერმანელი.

— გერმანიაში საერთო გაფიცვებია. გერმანული პრესის ცნობით, ფოსტატელეგრაფის მოხელეებმა და რკინის გზებზე უარი სთქვეს საყოველთაო გაფიცვაზე.

— საფრანგეთს წინადადება მისცა გერმანიამ, რომ დასავლეთ საზღვარზე რკინის პროვინციებისაგან შესდგეს დამოუკიდებელი სახელმწიფო.

— გერმანიაში საერთო გაფიცვები დასრულდა. ბერლინში დიდი ზრდილების დროს ორივე მხრით ბევრი დაიხოცა და დაიჭრა. ამ ჟამად თითქმის მთელ ბერლინში სიწყინარა.

— პარიზის კონფერენციაზე აღიძრა გერმანიის ახალშენების და ოსმალეთის ოლქების მართველობის საკითხი. შეერთებული შტატები მიიღებენ სომხეთის და ირანის ოლქების მართველობის მანდატს სმირნასა და სომხეთს შუა სირია და ალექსანდრია საფრანგეთს გადაეცემა. დიდი ბრიტანეთი პალესტინას და გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკის ახალშენებს მიიღებს. საფრანგეთი კამერუნს და კონგოს დიდ ნაწილს მიიღებს. აფრიკის სამხრეთ დასავლეთის გერმანიის ახალშენები სამხრეთ აფრიკას შეუერთდება. წყნარ ოკეანეში გერმანიის კუნძულები იაპონიას გადაეცემა.

— ლიბიის გაზეთების ცნობით, 480 შეიარაღებული ამერიკელი ჯარისკაცი 60 აფიცრით ბერლინში ჩავიდა.

— ლონდონში ყოფილა 20,000 ბალშევიკი. უმრავლესობა რუსებია, მესამედს ინგლისელები შეადგენენ. მთავრობა მათ წინააღმდეგ ენერგიულ ზომებს ღებულობს.

რკინის გზის აგებები

— ზრდილობა საეკონომიკისათვის. მოძრაობის ნაწილის უფროსმა მ. აბელიშვილმა შეიტანა გზათა უფროსთან მოხსენება გზებზე საეკონომიკის წინააღმდეგ საბრძოლველ ზომების შესახებ. საეკონომიკის უმთავრეს საგნებათ გზაზე იძლევიან წაქარი, თამბაქო და ყველა ის საგნები, რის შოვნაც შეიძლება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე და გადარეგულიან ადგილობრივი სხვა საქონელზე.

— ამიტომ ბ-ნი აბელაშვილი დიქტობს მიღებულ იქნას შემდეგი ზომები: №№ 3, 4, 7 და 8 მატარებლებში, თილისა და სალონის შუა, გაიხრიონ გზაზეგები და ყველა ამ მატარებლებს ზოგბის თითო კლასის ვაგონი, სადაც დაწყობილი იქნება ჩამორთმეული სპორტული და აგრეთვე გადაყვანილი ის პარნი, ვისაც აღმოჩნდება ეს საქონელი. ამიტომ ბ-ნი აბელაშვილი საქართველოს სენატს, თითოეულ ამ მატარებელზე დაინიშნოს 20 ჯარისკაცი და მილიციონერი.

— პარლამენტის ქმედებები. გზათა უფროსი აცხადებს: ამ წლის 1-ლი იანვრიდან ყველა წინააღმდეგობა ბრძოლის წინააღმდეგ მოსახლეობის მიერ ითვლება გაუქმებულად. ამიტომ როგორც მოსახლეობა, ისე ოჯახების წევრებმა უნდა თავის დროზე შეიძინონ ახალი ფოტოგრაფიული სურათები. პარლამენტის მოწოდებების წინააღმდეგ იბეჭდება ქართულ ენაზე და ჩქარა იქნება გაგზავნილი სათანადო უფროსებთან. რკინის გზის სამმართველო შეთანხმდა ცენტ. გამგ. საკულტურო განმანათლებ. განყოფილებასთან, რომ გადაიდოს მსურველი მოსამსახურეები და მათი ოჯახები შემდეგ პირობებში: ფსი 1 ცალი სურათისა 7 მ. 50 კაპ., 2 ცალი 8 მან. 50 კაპ., 3 ცალი 9 მანეთი. სასურველია, რომ გადაღების დროს ფული შეტანილი იქნეს, რაზედაც ფოტოგრაფი მისცემს შესაფერ სურათებს. ვისაც ფული არ ექნება, იმათ გამოცდილებათ მომავალი ჯამაგირიდან. დაკვეთილი სურათები დამზადების შემდეგ იქნება გაგზავნილი განყოფილების ხარჯზე დამკვეთებლების მიმართვის ჩვენებით. ფოტოგრაფი წამოვა ლიანდაგზე, მას მისცემენ მატარებელს „ფოტოგრაფია“. ფოტოგრაფის წამოსვლის დღე და გადაღება იქნება შეტყობინებული დეპუტით.

— წავით. მარტში წება დართულია მიეცეს მოსამსახურეებს ფსით 20 გირვანქა წავითი სულზე. ფსი—46 კაპ. გირვანქა.

— მატარებლები განათება. გზათა უფროსის განკარგულებით მოსამსახურეებს მატარებლების გასანათებლად შეიძლება მიეცეს ხელწერილს ქვეშ თითო სანთელი მატარებელზე ლამეში.

რ ი ს ს ვ ი

რკინოვულ გამკობებში გასაკვან განუთებისა

Table with 4 columns: რ ა ი რ ე ბ ი, „ლიგია“ ლი გზა, „Свободный путь“, ს უ ლ. Rows list various railway routes and their distances in kilometers.